## სარჩევი

1. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ....................3

1.1 პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა ....................3

1.2 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა ....................4

1.3 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით ....................5

1.4 კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება და მიღება....................6

1.5 სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის....................8

1.6 ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება .10

1.7 პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურებს გამარტივება ....................11

1.8 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება ....................12

2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ....................13

2.1 პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება....................13

2.2 კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე ....................19

2.3 მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე ....................20

2.4 საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეო ოქმის მომზადება და გამოქვეყნება. ....................21

2.5 პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთი ან ორ წლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში ....................23

3. პარლამენტის ანგარიშვალდებულება....................24

3.1 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია....................24

3.2 პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება და ელექტრონულად განთავსება ....................26

3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის დანერგვა ....................27

4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა ..........................................................................................28
4.1 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა ............28
4.2 საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების“) მონიტორინგის სისტემის შემუშავება ..........................................................................................................................29
4.3 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება ..........................................32
4.4 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება ..................................................33
4.5 კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა ..........34
4.6 მთავრობის მიერ ღია და გამჭვირვალე მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი ...........................35
5. ტექნოლოგიები და ინოვაცია ...........................................................................................................36
5.1. კენჭისყრის შედეგების მონაცემთა ბაზის სრულყოფა ....................................................................36
5.2 საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება)..........................................................................................................................38
5.3 პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაცია ..........................................................................**39.**

## 1. მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა

| 1.1 პეტიციის წარდგენის ელექტრონული სისტემის დანერგვა | | | | |
|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | ***ინიციატორი:*** *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)* | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *პეტიცია არის პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე, პირთა ჯგუფის წერილობითი მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივ ან საერთო პრობლემიდან გამომდინარე საკითხებს. არსებული ოფიციალური მონაცემებით, 2012 წლის 20 დეკემბრიდან - 2016 წლის 12 ივლისამდე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მხოლოდ 19 პეტიცია დარეგისტრირდა. პარლამენტისადმი პეტიციით ონლაინ მიმართვის პლატფორმები დანერგილი აქვს მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობას. აღნიშნული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოქალაქეთა ჩართულობასა და საკანონმდებლო ხელისუფლებისადმი საზოგადოებრივი ნდობის გაზრდას. ამავე დროს აუცილებელია პეტიციების განხილვის წესისა და ფორმატის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით დახვეწა.* | | |
| *მთავარი მიზანი* | | *საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე შეიქმნას პეტიციების წარდგენის, მათზე თვალყურის მიდევნებისა და რეაგირების ელექტრონული მექანიზმი.* | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | |

| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
|---|---|---|---|---|
| | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| პეტიციების განხილვის პროცესის დახვეწის მიზნით რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების ინიცირება | | 06/2017 | 12/2017 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პლატფორმის ტექნიკური დავალების შემუშავება | | 06/2017 | 09/2017 |
| პლატფორმის შექმნა და ტესტირება | | 10/2017 | 10/2017 |
| პეტიციის პლატფორმის ამოქმედება | | 11/2017 | 11/2017 |
| ცნობიერების ამაღლების კამპანია | | 11/2017 | |
| *ინდიკატორი* | 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები<br>2. პეტიციების პლატფორმა შექმნილია და დანერგილია პარლამენტის ვებ-გვერდზე<br>3. ჩატარებულია მოქალაქეთა ინფორმირების კამპანია | | |

## 1.2 საქართველოს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | | | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების პროექტი შემუშავებულია, თუმცა მიღებული არ არის. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს კონსტიტუციის გადასინჯვის პროცესში საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის ვალდებულებას, თუმცა არ არის განსაზღვრული სავალდებულო საჯარო შეხვედრების რაოდენობა.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | | *საქართველოს კონსტიტუციის სრული ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროცესში მოქალაქეთა სრულყოფილი ჩართვის უზრუნველყოფა. ვალდებულება მიზნად ისახავს საყოველთაო-სახალხო განხილვებისთვის შეხვედრების მინიმალური რაოდენობისა და მოქალაქეთა „უკუკავშირის“ კონკრეტული ფორმების განსაზღვრას (კვლევა ვებ-გვერდის საშუალებით, უკუკავშირის კითხვარების გავრცელება შეხვედრების დროს).* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | | √ | √ | √ | |

| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* |
|---|---|---|---|
| პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების ტექსტის დახვეწა | | 05/2017 | 10/2017 |
| რეგლამენტის ცვლილების ტექსტის მიღება | | 10/2017 | 12/2017 |
| *ინდიკატორი* | 2017 წლის საგაზაფხულო სესიის ბოლოს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში დეტალურად არის განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციის ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ კანონპროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზების ნორმები - მათ შორის, შეხვედრების მინიმალური რაოდენობა და გეოგრაფიული არეალი (თითოეულ რეგიონში მინიმუმ ერთი შეხვედრის ჩატარება), ასევე მოქალაქეთა უკუკავშირის მიღების ფორმები - გამოკითხვა ვებ-გვერდის საშუალებით, შეხვედრაზე დარიგებული უკუკავშირის ფორმები. | | |

| 1.3 საქართველოს პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებისა და საკანონმდებლო ინიციატივის ელექტრონული სახით წარდგენის და მოქალაქეთა მხრიდან მხარდაჭერის მექანიზმის დანერგვა პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობით | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | ***ინიციატორი:*** *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)* |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | მართალია პარლამენტის აპარატი უზრუნველყოფს პარლამენტის ვებგვერდზე საკანონმდებლო წინადადებების და საინიციატივო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განთავსებას, რაც ადრე ხელმისაწვდომი არ იყო. დაინტერესებულ პირებს ასევე მიეცათ შესაძლებლობა მოიწონონ კანონპროექტები და გააზიარონ სოციალურ ქსელებში, მაგრამ ვალდებულების სრულად შესრულებისთვის საჭიროა რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება და შესაბამისი პლატფორმის დანერგვა პარლამენტის ვებ-გვერდზე |
| *მთავარი მიზანი* | | *მოქალაქეებს მიეცეთ საშუალება გააკეთონ ელექტრონული ხელმოწერა საკანონმდებლო წინადადებებზე და საკანონმდებლო ინიციატივებზე.* |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | მოქალაქეთა ჩართულობა |

| შესაბამისობა OGP პრინციპებთან | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
|---|---|---|---|---|
| | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| პარლამენტის რეგლამენტში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტის შემუშავება | | *05/2017* | *12/2017* | |
| პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი შესაბამისი ცვლილებების მიღება | | | *12/2017* | |
| პარლამენტის ვებ-გვერდზე საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების ელექტრონულად ხელმოწერის მექანიზმის შექმნა | | *07/2017* | *02/2018* | |
| *ინდიკატორი* | 1. პარლამენტის რეგლამენტში ასახულია შესაბამისი ცვლილებები<br>2. პარლამენტის ვებ-გვერდზე შექმნილია და ფუნქციონირებს საკანონმდებლო წინადადებებისა და ინიციატივების | | | |

| 1.4 კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციის ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება და მიღება | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)*<br><br>*ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა | კანონშემოქმედებით პროცესში საზოგადოების ჩართულობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტს შემუშავებული ჰქონდეს საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესი და ფორმები. დაინტერესებული პირები ინფორმირებული უნდა იყვნენ პარლამენტისთვის კომენტარების მიწოდებისა და კანონშემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობის თაობაზე, ასევე პარლამენტს უნდა ჰქონდეს ნათელი მოწესრიგება კონსულტაციების პროცესის დაწყების, წარმართვის, ვადებისა და ფორმების შესახებ.<br><br>პარლამენტის ვებ-გვერდზე უკვე არსებობს კანონპროექტებზე კომენტარის დატოვების შესაძლებლობა, თუმცა არ არსებობს უკუგების მექანიზმი, რომ კომენტარები გადაეგზავნოს პარლამენტარებს და მოხდეს მათზე რეაგირება. | | | |
| მთავარი მიზანი | კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება და მიღება.<br><br>კანონპროექტებზე ელექტრონულად გაკეთებული კომენტარების შინაარსის თაობაზე პარლამენტარების ინფორმირება და უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა. | | | |
| OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება | სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება<br><br>საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| შესაბამისობა OGP პრინციპებთან | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
| | ✓ | ✓ | ✓ | |
| ვალდებულების განხორციელების ეტაპები | | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი | |
| კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესისა და ფორმების შემუშავება | | 06/2017 | 10/2017 | |
| კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესისა და ფორმების მიღება | | 11/2017 | 06/2018 | |
| უკუგების მექანიზმის სახეებისა და ფორმების შემუშავება და შესაბამისი ინსტრუქციების დამტკიცება | | 06/2017 | 10/2017 | |
| უკუგების მექანიზმის პრაქტიკაში ამოქმედება | | | 06/2018 | |

| | |
|---|---|
| *ინდიკატორი* | 1. *კანონშემოქმედებით პროცესში საჯარო კონსულტაციების ჩატარების წესი და ფორმები შემუშავებული და მიღებულია*<br>2. უკუკავშირის მექანიზმის სახეები და ფორმები შემუშავებულია;<br>3. უკუკავშირის მექანიზმი პრაქტიკაში ამოქმედებულია. |

| 1.5 სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პარლამენტის შენობის ადაპტირება და პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI),*<br>*გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)* |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კვლევების თანახმად, სახელმწიფოს მოსახლეობის დაახლოებით 15% წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირს. საქართველოში რეგისტრირებულია 100 ათასზე მეტი შშმ პირი, თუმცა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების გათვალისწინებით, ეს რიცხვი გაცილებით მაღალი უნდა იყოს.<br>2013 წელს საქართველოს პარლამენტმა მოახდინა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის რატიფიცირება. კონვენცია ითვალისწინებს საქართველოს ვალდებულებას უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს შშმ პირების მიერ უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით: არადისკრიმინაცია, საზოგადოებაში სრული და ეფექტური ინტეგრაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განსხვავებულობის პატივისცემა და ადამიანებისა და კაცობრიობის მრავალფეროვნების გამოხატულების ნაწილად მათი აღიარება, შესაძლებლობათა თანასწორობა, ხელმისაწვდომობა და ა.შ.<br>საქართველოს პარლამენტის სერვისები და ინფრასტრუქტურა არ ითვალისწინებს სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა ინტერესებს, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის შშმ პირის პარლამენტის საქმიანობაში ჩართვას და/ან პარლამენტის მომსახურების მიღებას. |
| *მთავარი მიზანი* | | *პარლამენტის შენობის (თბილისი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირება, პარლამენტის მიერ მოქალაქეებისთვის გაწეული სერვისების ხელმისაწვდომობა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის (მაგ: განცხადების ჩაბარება, საჯარო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება და სხვა).* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | *საჯარო მომსახურების გაუმჯობესება* | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | *ინფორმაციის ხელმისაწვდომობა* | *ანგარიშვალ-დებულება* | *მოქალაქეთა ჩართულობა* | *ტექნოლოგიები და ინოვაცია* |
| | | P | P | P |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| *პარლამენტის შენობის (თბილისი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირების პროექტის შემუშავება* | ახალი ვალდებულება | 05/2017 | 08/2017 | |
| შშმ პირთათვის მომსახურების (განცხადების შეტანა, ინფორმაციის მიწოდება და ა.შ.) მიწოდების და შეხვედრებში მონაწილეობის შესახებ კონცეფციის შემუშავება შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობით და უნივერსალური დიზაინის პრინციპის გათვალისწინებით | ახალი ვალდებულება | 05/2017 | 08/2017 | |
| შესაბამისი ნორმატიული აქტების და ინფრასტრუქტურის (ტექნოლოგიური) მომზადება | ახალი ვალდებულება | 07/2017 | 12/2017 | |
| მომსახურების მიწოდების პილოტირება | ახალი ვალდებულება | 01/2018 | 03/2018 | |
| ხელმისაწვდომი მომსახურების შესახებ ცნობადობის ამაღლება დაინტერესებულ ჯგუფებში | ახალი ვალდებულება | 01/2018 | 03/2018 | |
| *ინდიკატორი* | შემუშავებულია *პარლამენტის შენობის (თბილისი) სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირების პროექტი;*<br>შემუშავებულია კონცეფცია შშმ პირებზე ორიენტირებული სერვისების შესახებ;<br>შექმნილია შშმ პირების მომსახურებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა (ტექნოლოგიური საშუალებები) | | | |

| 1.6 ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება | | | | |
|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულ ება* | *ინიციატორი: საქართველოს პარლამენტი* | | |
| | *სამოქალაქ ო/კერძო სექტორი* | *საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)* | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *პარლამენტის წევრები და აპარატის თანამშრომლები საჯარო სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში პერიოდულად ატარებენ ლექციებსა და პრეზენტაციებს საპარლამენტო საქმიანობის შესახებ. პარლამენტი სასწავლო დაწესებულების მიმართვის საფუძველზე ასევე მასპინძლობს საინფორმაციო ტურებსა და ექსკურსიებს.* | | |
| *მთავარი მიზანი* | | *პარლამენტის საქმიანობისა და OGP-ს შესახებ მოქალაქეების ცნობიერების ამაღლება საინფორმაციო კამპანიის პროაქტიულად და რეგულარულად წარმოების გზით.* | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომ ობა | ანგარიშვალ დებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | ✓ | ✓ | ✓ | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* |
| თემატური შეხვედრები უნივერსიტეტის სტუდენტებთან საქართველოს ყველა რეგიონში | | | 10/2017 | 01/2019 |
| საინფორმაციო ფლაერების დაბეჭდვა და სახელმწიფო დაწესებულებებში (იუსტიციის სახლი, სკოლები, ბაღები) გავრცელება | | | 09/2017 | 01/2019 |

| | | | |
|---|---|---|---|
| საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ მედიასთან შეხვედრები | | 09/2017 | 01/2019 |
| პარლამენტის წევრებისთვის შეხვედრების ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც მოხდება საპარლამენტო OGP-სა და გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების, შესახებ ცნობიერების ამაღლება. | | 09/2017 | |
| 11-12 კლასის მოსწავლეებთან შეხვედრები | | 10/2017 | 01/2019 |
| *ინდიკატორი* | • შეხვედრების რაოდენობა, სტუდენტებისგან მიღებული უკუკავშირი<br>• შეხვედრების რაოდენობა, მოსწავლეებისგან მიღებული უკუკავშირი;<br>• შეხვედრების რაოდენობა, შეხვედრების მონაწილეებისგან მიღებული უკუკავშირი;<br>• დარიგებული ფლაერების რაოდენობა | | |

| 1.7 პარლამენტის შენობაში მოქალაქეთა შესვლის პროცედურებს გამარტივება | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)* |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *2016 წლის აპრილში პარლამენტმა ვებგვერდზე განათავსა პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანება „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ". თუმცა დოკუმენტი არ არის ადვილად ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირისათვის, ვინაიდან პარლამენტის შენობაში შესვლის წესი უნდა მოიძებნოს რთულად სამართლებრივი დოკუმენტების გრაფაში. შესაბამისად, პარლამენტის ვებგვერდზე არ არის მოცემული მოკლე რეზიუმე პარლამენტის შენობაში შესვლის ზოგადი წესის შესახებ.* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *მთავარი მიზანი* | | *პარლამენტის ვებ გვერდზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს მოკლე ინფორმაცია პარლამენტის შენობაში შესვლის წესების შესახებ.* | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება<br>სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები |
| | ✓ | | ✓ | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* |
| პარლამენტის ვებ გვერდზე თვალსაჩინო ადგილზე დასწრების შესახებ მოკლე ინფორმაციის მარტივი სახით განთავსება. | | | *06/2017* | *07/2017* |
| *ინდიკატორი* | | პარლამენტის ვებ გვერდზე თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებულია პარლამენტის შენობაში შესვლის შესახებ მარტივი ფორმით მოკლე ინფორმაცია.<br>პარლამენტის ვებ გვერდზე კომიტეტების შესახებ გრაფაში მითითებულია საკონტაქტო პირის ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს დაინტერესებული პირის საშვის მიღების პროცედურის ორგანიზებას. | | |

## 1.8 „საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის“ შემუშავება და მიღება

| | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| | *საჯარო დაწესებულება* | |

| | | |
|---|---|---|
| *პარტნიორები* | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | *2013 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის გაფორმებული მემორანდუმის პირველი მუხლის თანახმად, პარლამენტმა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა უნდა შეიმუშაონ „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფცია“. აღსანიშნავია, რომ კონცეფციის პირველადი პროექტი უკვე შემუშავდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფის აქტიური ჩართულობით. სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ოფიციალური ვერსია 2014 წელს და გამართა საჯარო განხილვები ადგილობრივ სამოქალაქო აქტივისტებთან, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომდგენლებსა და არასამთავრობო ორგანიზაციათა/სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან საქართველოს 7 ქალაქში.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | *საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება და დადგენილი წესით მიღება.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | *საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება და კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა* | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | | ✓ | ✓ | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| კონცეფციის შემუშავება | | 09/2015 | 10/2017 | |
| კონცეფციის განხილვა პარლამენტის მიერ | | 01/2016 | 12/2017 | |
| კონცეფციის დამტკიცება პარლამენტის მიერ | | 02/2018 | 03/2018 | |
| *ინდიკატორი* | კონცეფცია მიღებულია პარლამენტის მიერ დადგენილი წესით | | | |

## 2. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

| 2.1 პარლამენტის ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გაფართოება | |
|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | *საქართველოს პარლამენტი* |

| | | |
|---|---|---|
| პარტნიორები | საჯარო დაწესებულება | |
| | სამოქალაქო/კერძო სექტორი | ინიციატორები:<br>საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)<br>ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)<br>გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)<br>საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) |

| | |
|---|---|
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | 1. *პარლამენტის ვებგვერდზე არ ქვეყნდება დეტალური და ინდივიდუალური ინფორმაცია პარლამენტის წევრების მივლინებების შესახებ, კერძოდ მივლინების მიზნისა და ხარჯების მითითებით.*<br><br>2. *პარლამენტის ვებ გვერდზე არ ქვეყნდება სადეპუტატო და საკომიტეტო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია.*<br><br>4. საქართველოს პარლამენტის მიერ არ ხდება მისი საქმიანობის ყოველწლიური შედეგების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება.<br><br>5. ამასთან, პარლამენტის ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ვებსაიტზე ატვირთულია საკანონმდებლო აქტების სახით და არა მარტივი და ადვილად აღქმადი ვიზუალიზაციით.<br><br>ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციის არსებობა ხელს შეუწყობს პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობის ამაღლებას, ასევე პარლამეტის ანგარიშვალდებულების ზრდას. ეს ასევე დაეხმარება მოქალაქეებს შეიქმნან ზოგადი წარმოდგენა პარლამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ, ხოლო წლების მიხედვით დინამიკა კარგი ინდიკატორი შეიძლება იყოს სხვადასხვა მოწვევის პარლამენტების აქტივობების/აქტიურობის შესადარებლად. აღნიშნული სტატისტიკური ინფორმაცია შეიძლება გამოიცეს ბუკლეტების/ფლაერების სახით და ასევე განთავსდეს პარლამენტს ვებსაიტზე. ევროპული ქვეყნების პარლამენტების გამოცდილების გათვალისწინებით კი, ის შეიძლება გახდეს პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი. ასეთი ანგარიშის შემუშავება წინამდებარე გეგმის 3.2 ვალდებულებით არის განსაზღვრული. |

| | |
|---|---|
| *მთავარი მიზანი* | *1. პარლამენტის ვებგვერდზე უნდა განთავსდეს ინფორმაცია პარლამენტის თითოეული წევრის მივლინების მიზნის/სამუშაო პროგრამის და ხარჯების შესახებ, მათ შორის პარლამენტისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომლობით გაწეული ხარჯების მითითებით. (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)*<br><br>*2. პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს სადეპუტატო და საკომიტეტო კითხვებთან დაკავშირებით სტატისტიკური ინფორმაცია (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI))*<br>*3. პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს ინფორმაცია პარლამენტის წევრების მიერ პლენარული და კომიტეტის სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენების შესახებ. (საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI))*<br>*4. პარლამენტის ვებგვერდზე განთავსდეს კანონპროექტთან დაკავშირებით სახალხო დამცველის, საჯარო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარლამენტში წარდგენილი ან პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტებისა თუ დეპარტამენტების მიერ მომზადებული დასკვნები, წინადადებები და მოსაზრებები (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*<br>*5. პარლამენტის საქმიანობის შესახებ ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება, კერძოდ:*<br>• პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების რაოდენობა<br>• საკანონმდებლო ინიციატივებისა და მიღებული კანონების რაოდენობა (ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტების მიხედვით)<br>• სამთავრობო საათის, პარლამენტის წევრის კითხვების რაოდენობა (მონაცემები უმრავლესობა-უმცირესობის მიხედვით)<br>• საერთაშორისო ვიზიტების (დელეგაციები/მეგობრობის ჯგუფების ფარგლებში, სხვ.) რაოდენობა<br>• ვიზიტორების რაოდენობა პარლამენტში<br>• დინამიკა წლების მიხედვით<br>• ბიუჯეტის გრაფიკული ვიზუალიზაცია;<br>*(გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP))*<br>*6. საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების რეესტრის შექმნა და გამოქვეყნება. (საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)* |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება |

| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
|---|---|---|---|---|
| | ✓ | ✓ | | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებაში ცვლილებების შეტანა | | *05/2017* | *06/2017* | |
| სტატისტიკურად დასამუშავებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა | ახალი ვალდებულება | *05/2017* | *06/2017* | |
| ვალდებულებით განსაზღვრული ინფორმაცის პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება | | *06/2017* | | |
| ყოველწლიური სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და გამოქვეყნება | *ახალი ვალდებულება* | *12/2017* | ყოველი წლის ბოლოს | |

<table>
<tr>
<td>ინდიკატორი</td>
<td>
1. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის შესახებ თავმჯდომარის ბრძანებაში შესულია ცვლილება და პარლამენტის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულია ინდივიდუალურად პარლამენტის წევრის მივლინების მიზნისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია;<br>
2. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ნუსხის შესახებ თავმჯდომარის ბრძანებაში შესულია ცვლილება და პარლამენტის ვებ გვერდზე ქვეყნდება სადეპუტატო და საკომიტეტო კითხვებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია;<br>
3. პარლამენტის ვებ გვერდზე ქვეყნდება პარლამენტის წევრის მიერ საპატიო მიზეზით გაცდენის შესახებ ინფორმაცია რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი საპატიო მიზეზის მითითებით;<br>
4. პარლამენტის ვებგვერდზე ქვეყნდება კანონპროექტებთან დაკავშირებით სახალხო დამცველის, საჯარო დაწესებულებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ პარლამენტში წარდგენილი ან პარლამენტის სხვადასხვა კომიტეტებისა თუ დეპარტამენტების მიერ მომზადებული დასკვნები.<br>
5. პარლამენტის საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია, კონკრეტულად:<br>
• პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების რაოდენობა<br>
• საკანონმდებლო ინიციატივებისა და მიღებული კანონების რაოდენობა (ინიციატივის უფლების მქონე სუბიექტების მიხედვით)<br>
• სამთავრობო საათის, პარლამენტის წევრის კითხვების რაოდენობა (მონაცემები უმრავლესობა-უმცირესობის მიხედვით)<br>
• საერთაშორისო ვიზიტების (დელეგაციები/მეგობრობის ჯგუფების ფარგლებში, სხვ.) რაოდენობა<br>
• ვიზიტორების რაოდენობა პარლამენტში<br>
• საქართველოს პარლამენტის ბიუჯეტის გრაფიკული ვიზუალიზაცია;<br>
<br>
ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური ისე ელექტრონული/ონლაინ სახით და იგი ნახლდება ყოველი წლის ბოლოს;<br>
<br>
6. პარლამენტის ვებ გვერდზე ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ მიღებული საჩუქრების რეესტრი
</td>
</tr>
</table>

## 2.2 კანონპროექტის განხილვისას, პირველად ტექსტში შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი დროული გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | | | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *არსებული მდგომარეობით, პარლამენტში არ არსებობს სათანადო დონეზე ფუნქციური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვას და მათ დროულ გამოქვეყნებას პარლამენტის ვებ-გვერდზე, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ-გვერდზე განთავსებულია ყველა კანონპროექტი, არ არსებობს კანონპროექტის სხვადასხვა ვერსიებს შორის არსებული სხვაობების ელექტრონულ ფორმატში ნახვის (შედარების) ტექნიკური შესაძლებლობა, რაც ერთმნიშვნელოვნად აფერხებს ჩართულობას კანონშემოქმედებით საქმიანობაში.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | | *კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და მათი გამოქვეყნება პარლამენტის ვებ-გვერდზე* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | საჯარო სერვისების გაუმჯობესება<br><br>სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
| | | ✓ | | ✓ | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| *კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვის კონცეფციის შემუშავება* | | | 06/2017 | 08/2017 | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებების ხილვად ფორმატში ასახვა და ვებ-გვერდზე გამოქვეყნება* | | | 12/2018 |
| *ინდიკატორი* | *კანონპროექტის პირველად ტექსტში განხილვის შედეგად შეტანილი ცვლილებები ხილვად ფორმატში ასახულია და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულია* | | |

## 2.3 მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება პარლამენტის ვებგვერდზე.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | *ინიციატორი: საქართველოს პარლამენტი* | | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | www.parliament.ge ვებ-საიტზე, მაჟორიტარი დეპუტატის ინდივიდუალურ გვერდზე განთავსებულია მხოლოდ თბილისისა და ქუთაისის ოფისების მისამართი, ხოლო საარჩევნო ოლქში არსებული ბიუროს მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია არ იძებნება, რაც ართულებს ამომრჩევლის მიერ დეპუტატის პოვნას და მასთან შეხვედრის ორგანიზებას. | | | |
| *მთავარი მიზანი* | | *მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობის შესახებ პარლამენტის ვებგვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება.*<br>*ამომრჩევლისთვის მაჟორიტარი დეპუტატების შესახებ ინფორმაციაზე წვდომისა და მათთან შეხვედრის ორგანიზების გაადვილება.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | | | | |
| | | | P | P | P |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |

| | | | |
|---|---|---|---|
| მაჟორიტარი დეპუტატების ინდივიდუალურ გვერდებზე მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოსაქვეყნებელი სივრცის შექმნა | | 06/2017 | 09/2017 |
| *ვებგვერდზე არსებულ მაჟორიტარი დეპუტატების ინდივიდუალურ გვერდებზე მაჟორიტარული ბიუროს მისამართის, მიღების საათებისა და საკონტაქტო პირის მითითება.* | | 06/2017 | 09/2017 |
| *ინდიკატორი* | • მაჟორიტარი დეპუტატების ინდივიდუალურ გვერდებზე შექმნილია შესაბამისი სივრცე;<br>• მაჟორიტარების ბიუროში მოქალაქეთა მიმართვიანობის ზრდა. | | |

## 2.4 საქართველოს პარლამენტის მიერ ანგარიშის მოსმენისა და საქართველოს პარლამენტის მიერ ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე დროულად განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ვიდეო ოქმის მომზადება და გამოქვეყნება.

| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
|---|---|---|
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი:*<br>*საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)*<br>*ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | *საქართველოს პარლამენტი, როგორც კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ასევე საკუთარი ინიციატივის საფუძველზე ისმენს აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშებს.*<br>*საქართველოს პარლამენტს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის საფუძველზე მინიჭებული აქვს უფლება აირჩიოს კონკრეტული თანამდებობის პირები, უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, ამა თუ იმ სახელმწიფო კოლეგიური ორგანოს წევრები. აღნიშნული პირების არჩევის მიმართ არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი და საზოგადოებისთვის საინტერესოა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | *საზოგადოებამ უნდა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია აღმასრულებელი ხელისუფლების და სხვა ანგარიშვალდებული ორგანოების ანგარიშების მოსმენის თაობაზე, საქართველოს პარლამენტარების ჩართულობის თაობაზე ანგარიშის განხილვის პროცესში. აღნიშნულის თაობაზე დროულად გამოქვეყნდეს ინფორმაცია პარლამენტის ვებგვერდზე, მომზადეს შესაბამისი განხილვის ვიდეოოქმები და განთავსდეს პარლამენტის ვებგვერდზე.*<br>*საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს თანამდებობის პირების, უზენაესი სასამართლოს და საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების, ამა თუ იმ სახელმწიფო კოლეგიური ორგანოს წევრების საკომიტეტო მოსმენების თარიღისა და დროის ინფორმაციის გონივრულ ვადაში ვებგვერდზე გამოქვეყნება, რათა დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ სხდომაზე დასწრება. პარლამენტმა უზრუნველყოს აღნიშნული საკომიტეტო მოსმენის ვიდეო ოქმის წარმოება და ვებგვერდზე განთავსება.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | საჯარო მომსახურების გაუჯობესება<br>სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
| | ✓ | ✓ | | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |

| | | | |
|---|---|---|---|
| *ანგარიშების თაობაზე ინფორმაციის განთავსება, შესაბამისი განხილვის ოქმების განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე.* | | 06/2017 | 08/2017 |
| *ასარჩევი პირების მოსმენის თაობაზე ინფორმაციის განთავსება, შესაბამისი კომიტეტის სხდომის ოქმების განთავსება პარლამენტის ვებგვერდზე.* | | 06/2017 | 08/2017 |
| *ინდიკატორი* | • ანგარიშების თაობაზე ინფორმაცია და შესაბამისი განხილვის ვიდეო ოქმები განთავსებულია პარლამენტის ვებგვერდზე.<br>• ასარჩევი პირების საკომიტეტო მოსმენის თაობაზე ინფორმაცია და შესაბამისი საკომიტეტო სხდომის ვიდეო ოქმები განთავსებულია პარლამენტის ვებგვერდზე. | | |

## 2.5 პარლამენტის კომიტეტების მიერ ერთი ან ორ წლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის დასაწყისში

| | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)* |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | 2014-2015 წლებში ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საპარლამენტო პროექტის ფარგლებში რამდენიმე კომიტეტს დახმარება გაეწია ორ წლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებაში. ეს იყო პირველი მცდელობა კომიტეტების მხრიდან დეტალურად დაეგეგმათ თავიანთი საქმიანობა როგორც საკანონმდებლო და საზედამხედველო, ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობების კუთხით. გეგმები ასევე მოიცავდა იმ შიდა ორგანიზაციულ აქტივობებს, რომლებიც აუცილებელი იყო კომიტეტის და მისი აპარატის გაძლიერებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლებისთვის. ამჟამად, ევროკავშირი და UNDP აგრძელებენ პარლამენტის ზოგიერთ კომიტეტთან მუშაობას ამ მიმართულებით. მსგავს სამოქმედო გეგმებზე ასევე მუშაობენ სხვა დარგობრივი კომიტეტები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. სასურველია კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავებამ რეგულარული ხასიათი მიიღოს და ეს საქმიანობა გაიწეროს კომიტეტების დებულებით. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *მთავარი მიზანი* | *კომიტეტების მიერ ერთი ან ორ წლიანი სამოქმედო გეგმების მომზადება და გასაჯაროება ყოველი წლის/საგაზაფხულო სესიის დასაწყისში, რაც მისცემს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობას, დროულად იყვნენ ინფორმირებულები დაგეგმილი საკანონმდებლო პროცესების შესახებ.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | *სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება* | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | Y | Y | Y | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| კომიტეტების სამოქმედო გეგმის ფორმატისა და შინაარსის განსაზღვრა | ახალი ვალდებულება | 06/2017 | 07/2017 | |
| ცვლილება კომიტეტების დებულებაში ყოველწლიური სამოქმედო გეგმების შემუშავების შესახებ | ახალი ვალდებულება | 09/2017 | 09/2017 | |
| *ინდიკატორი* | • შეტანილია ცვლილებები კომიტეტების დებულებებში; განსაზღვრულია სამოქმედო გეგმის ფორმატი და შინაარსი. | | | |

## 3. პარლამენტის ანგარიშვალდებულება

| 3.1 საქართველოს პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI)* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | *ყოველწლიური შეხვედრები საქართველოს პარლამენტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის დაიწყო 2012 წელს. ეს ტრადიცია მნიშვნელოვანი პლატფორმაა პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის დიალოგისთვის, რადგან ეხება ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის საკითხებს. 2013 წლის დეკემბერში, პარლამენტსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გაფორმდა მემორანდუმი, რომელშიც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ყოველწლიური შეხვედრების საჭიროებას. ბოლოს შეხვედრა ჩატარდა 2016 წლის დეკემბერში.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | *პარლამენტისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრის ინსტიტუციონალიზაცია* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | *საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება და კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა* | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | ✓ | ✓ | ✓ | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | არსებული ვალდებულება | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა | | 05.2017 | 12/2017 | |
| პარლამენტის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყოველწლიური შეხვედრა | საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის 2013 წლის 12 დეკემბერს გაფორმებულ მემორანდუმში დაფიქსირებულია ყოველწლიური შეხვედრის ვალდებულება | *12/2012* | *ტარდება ყოველწლიურად* | |
| *ინდიკატორი* | • პარლამენტის რეგლამენტში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები<br>• პარლამენტსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების შეხვედრა ტარდება ყოველწლიურად | | | |

## 3.2 პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშის შემუშავება და ელექტრონულად განთავსება

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | | | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *საქართველოს პარლამენტი, როგორც ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო წარმოადგენს საკანონმდებლო ხელისუფლებას, რომელიც კანონშემოქმედებითი საქმიანობის გარდა, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას. ზემოხსენებული ფუნქციების ეფექტიანი და ქმედითი განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებას სრულად მიეწოდოს ინფორმაცია პარლამენტის მიერ წლიურად განხორციელებული საქმიანობის შესახებ. დღეისათვის არ არსებობს ასეთი ანგარიშგების ერთიანი ფორმა და პრაქტიკა.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | | *საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის ტრადიციის დამკვიდრება და ამით საზოგადოების ინფორმირებისა და ჩართულობის უზრუნველყოფა.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | *პარლამენტის ანგარიშვალდებულების, მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა* | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
| | | ✓ | ✓ | ✓ | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| ანგარიშის შინაარსის ძირითადი საკითხების განსაზღვრა | | | 05/2017 | 07/2017 | |
| პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა | | | 06/2017 | 12/2017 | |
| შესაბამისი ინფორმაციის დამუშავების სტანდარტების და ერთიანი ანგარიშის ფორმის შემუშავება | | | 05/2017 | 07/2017 | |
| ერთწლიანი ანგარიშის განთავსება | | | *11/2017* | 12/2017 | |
| *ინდიკატორი* | | • პარლამენტის რეგლამენტში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები<br>• პარლამენტის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში შემუშავებულია და ელექტრონულად განთავსებულია | | | |

| 3.3. საქართველოს პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის დანერგვა | | | | |
|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | *ინიციატორი: საქართველოს პარლამენტი* | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *საქართველოს პარლამენტი არ აწარმოებს თავისი საქმიანობის ყოველწლიურ შეფასებას.* | | |
| *მთავარი მიზანი* | | *საქართველოს პარლამენტის ინსტიტუციონალური გაძლიერება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თვითშეფასების ინსტრუმენტის დანერგვის გზით.* | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | ანგარიშვალდებულება | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | | | |
| | | | P | P | P |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| პარლამენტის თვითშეფასების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი | | 06/2017 | 10/2017 | |
| პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტის შემუშავება | | | 12/2017 | |
| პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა | | | 12/2017 | |
| თვითშეფასების ინსტრუმენტის დანერგვა | | | 12/2018 | |
| *ინდიკატორი* | | • შემუშავებული და დამტკიცებულია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პარლამენტის თვითშეფასების ინსტრუმენტი;<br>• პარლამენტმა გაიარა მინიმუმ ერთი თვითშეფასება. | | |

## 4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა

<table>
<tr><th colspan="6">4.1 საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობის გაზრდა</th></tr>
<tr><td colspan="2">წამყვანი დაწესებულება</td><td colspan="4">საქართველოს პარლამენტი</td></tr>
<tr><td rowspan="2">პარტნიორები</td><td>საჯარო დაწესებულება</td><td colspan="4"></td></tr>
<tr><td>სამოქალაქო/კერძო სექტორი</td><td colspan="4">ინიციატორი: საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA)</td></tr>
<tr><td colspan="2">არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა</td><td colspan="4">საგამოძიებო და დროებითი კომისიების შექმნა და მუშაობა გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, თუმცა აღნიშნული კომისიების შექმნის პრაქტიკა წინა მოწვევის პარლამენტში თითქმის არ არსებობს, აღნიშნული განპირობებულია კომისიის შექმნისთვის მაღალი ქვორუმით. მნიშვნელოვანია კომისიის შექმნის შემთხვევაში, მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პროაქტიული გამოქვეყნება საზოგადოების ინფორმირებისა და კომისიის ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით;</td></tr>
<tr><td colspan="2">მთავარი მიზანი</td><td colspan="4">საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს საგამოძიებო და დროებითი კომისიების საქმიანობის გამჭვირვალობა და შესაბამისი ინფორმაციის (მაგ: კომისიის შემადგენლობა, კომისიაზე გამოცხადებული პირების ვინაობა, კომისიის სხდომის ოქმები, კომისიის დასკვნების საჯარო განხილვა, კომისიის ანგარიშები და დასკვნები და სხვა) პარლამენტის ვებგვერდზე განთავსება.</td></tr>
<tr><td colspan="2">OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება</td><td colspan="4">საჯარო მომსახურების გაუჯობესება<br><br>სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება</td></tr>
<tr><td colspan="2" rowspan="2">შესაბამისობა OGP პრინციპებთან</td><td>ინფორმაციის ხელმისაწვდომობა</td><td>ანგარიშვალდებულება</td><td>მოქალაქეთა ჩართულობა</td><td>ტექნოლოგია და ინოვაციები</td></tr>
<tr><td>✓</td><td>✓</td><td></td><td>✓</td></tr>
<tr><td colspan="2">ვალდებულების განხორციელების ეტაპები</td><td></td><td>დაწყების თარიღი</td><td colspan="2">დასრულების თარიღი</td></tr>
<tr><td colspan="2">საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის განსაზღვრა და დამტკიცება;</td><td></td><td>06/2017</td><td colspan="2">09/2017</td></tr>
</table>

| | | | |
|---|---|---|---|
| საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ვებ-გვერდზე განთავსება; | | | 09/2017 |
| **ინდიკატორი** | • საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ვებ-გვერდზე განთავსებულია<br>• ინფორმაციის გამოსაქვეყნებელი ნუსხა განსაზღვრული და დამტკიცებულია; | | |

## 4.2 საჯარო ინფორმაციის ანგარიშების (ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიშების") მონიტორინგის სისტემის შემუშავება

| | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)*<br>*საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)* |

| | |
|---|---|
| არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა | საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის თანახმად, ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგინოს და ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნოს ე.წ. „10 დეკემბრის ანგარიში“.<br><br>პარლამენტი საჯარო დაწესებულებებიდან იღებს ყოველწლიურ ანგარიშს ინფორმაციის თავისუფლების ისეთი ასპექტების შესახებ, როგორიცაა საჯარო ინფორმაციის გაცემა, გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები, კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვა და სხდომის დახურვის საფუძვლები, პერსონალური ინფორმაციის დამუშავება, საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების დარღვევები. თუმცა კანონმდებლობა არ ადგენს ასეთი დაწესებულების მიერ წარდგენილი ანგარიშის განხილვის კონკრეტულ პროცედურას, რომლის შედეგად ანგარიშების წარდგენას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია პარლამენტის რეგლამენტით განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები.<br><br>სამწუხაროდ, დაწესებულებების ანგარიშებში მხოლოდ მოთხოვნილი ინფორმაციის რაოდენობრივი მონაცემები იცვლება და არ ხდება არსებული ხარვეზების გამოსწორება. მონაცემები უმეტეს შემთხვევაში არასრულყოფილია, არ შეესაბამება სზაკ-ის მოთხოვნებს და ნაკლებად ასახავს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით არსებულ რეალურ ვითარებას.<br><br>ამავე დროს, ამ ანგარიშების წარდგენა, მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს და არც საკანონმდებლო ორგანო და არც აღმასრულებელი ხელისუფლება არ ახდენს ანგარიშებში წარმოდგენილი მონაცემების განზოგადებას, შესწავლას, მონიტორინგს თუ ზედამხედველობას. |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *მთავარი მიზანი* | *პარლამენტის რეგლამენტით უნდა განისაზღვროს საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ანგარიშის განხილვის პროცედურა და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმები. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები უნდა განიხილებოდეს საკომიტეტო მოსმენებზე.*<br><br>*საპარლამენტო ზედამხედველობის პლატფორმის შექმნა, სადაც დაწესებულებები ელექტრონულად შეიყვანენ მონაცემებს 10 დეკემბრის ანგარიშების მოთხოვნების შესაბამისად, რაც საშუალებას მისცემს პარლამენტს გაამარტივოს მათი დამუშავება და განზოგადება.*<br><br>*სისტემის გამოყენებით მოქალაქეებს და დაინტერესებულ პირებს მიეცემათ შესაძლებლობა აღმოაჩინონ დარღვევები ან შეუსაბამობები ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარდგენილ ანგარიშებში და მიმართონ პარლამენტს მონაცემების დაზუსტების, კორექტირების ან ინფორმაციის განზრახ გაყალბების შემთხვევაში შესაბამისი პასუხისმგებლობის დაყენების მოთხოვნით.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| 1. 10 დეკემბრის კონსოლიდირებული ანგარიშების კომიტეტის სხდომებზე განხილვის პროცედურის შესახებ ცვლილებები შესულია პარლამენტის რეგლამენტში | | | | |
| 2. 10 დეკემბრის ანგარიშების ელექტრონულად წარდგენისა და მონიტორინგის სისტემის კონცეფციის და ტექნიკური დავალების შემუშავება | | *05/2017* | 11/2017 | |
| 3. 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის სისტემა შექმნილია და ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებ-გვერდზე | | *09/2017* | 12/2017 | |

| | |
|---|---|
| *ინდიკატორი* | 1. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული კონსოლიდირებული ანგარიში განიხილება კომიტეტის სხდომებზე;<br>2. პარლამენტის ვებ-გვერდზე შექმნილია და ფუნქციონირებს 10 დეკემბრის ანგარიშების მონიტორინგის სისტემა. |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **4.3 საქართველოს პარლამენტის წევრთა ეთიკის კოდექსის შემუშავება** | | | | | |
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | | | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *ეთიკის კოდექსის პროექტი შემუშავებულია, თუმცა მხოლოდ დეკლარაციული ნორმების დონეზე. აუცილებელია ტექსტისთვის აღსრულების მექანიზმის და სანქციების ნაწილის შემუშავება და დამატება.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | | *ეთიკის კოდექსის პროექტის დამუშავება, აღსრულების მექანიზმების შემუშავება და დამტკიცება.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | | | √ | | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| აღსრულების მექანიზმების და სანქციების შემუშავება | | | 05/2017 | 06/2017 | |
| კოდექსის ინიცირება და მიღება | | | 06/2017 | 11/2017 | |
| *ინდიკატორი* | | 2017 წლის ბოლომდე მიღებულია პარლამენტის წევრებისთვის სავალდებულო ეთიკის ნორმები, რომელიც განსაზღვრავს თუ ვინ არის პასუხისმგებელი ეთიკის კოდექსის ნორმების შესრულების მონიტორინგზე (აღსრულების მექანიზმი) და რა სანქციები მოყვება ნორმების დარღვევას. | | | |

## 4.4 განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესება

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | *საქართველოს პარლამენტი* | | | |
| *პარტნიორები* — *საჯარო დაწესებულება* | | | | |
| *პარტნიორები* — *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | *საპარლამენტო ანგარიშვალდებულების, საკანონმდებლო პროცესის გაუმჯობესებისა და კანონშემოქმედებით პროცესში სამოქალაქო ჩართულობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია კანონპროექტის განმარტებითი ბარათი. განმარტებითი ბარათი უნდა იყოს არგუმენტირებული, ინფორმაციული და დასაბუთებული. აღნიშნულის შესაბამისად აუცილებელია შეიცვალოს ამჟამად არსებული სტანდარტი.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | *გაუმჯობესდეს განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარე და შესაბამისად ჩამოყალიბდეს ახალი სტანდარტი.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება<br>სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | ✓ | ✓ | | |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| განმარტებითი ბარათის შინაარსობრივი მხარის გაუმჯობესებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების | | 05/2017 | 09/2017 | |
| პარლამენტის რეგლამენტში და ნორმატიული აქტების შესახებ კანონში ცვლილების შეტანა | | | 12/2017 | |
| *ინდიკატორი* | მიღებულია რეგლამენტში და ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის შესახებ კანონის პროექტი, რომლის შესაბამისად მიღწეულია განმარტებითი ბარათის ახალი სტანდარტი და შინაარსობრივი მხარე გაუმჯობესებულია. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.5 კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწა | | | | |
| წამყვანი დაწესებულება | | საქართველოს პარლამენტი | | |
| პარტნიორები | საჯარო დაწესებულება | | | |
| | სამოქალაქო/კერძო სექტორი | ინიციატორი: საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI) | | |
| არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა | | პარლამენტში დაგეგმილი ოფიციალური შეხვედრების, მათ შორის კომიტეტის სხდომების დღის წესრიგი ქვეყნდება პარლამენტის ვებ-გვერდზე ონლაინ კალენდარში. თუმცა, კომიტეტის სხდომის დროს ზოგჯერ დღის წესრიგში შედის ცვლილება და ემატება განსახილველი საკითხები სათანადო დასაბუთების გარეშე, ამასთან, კანონპროექტების განხილვა ხშირად ხდება დაჩქარებული წესით რაც აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების წევრების ჩართულობას კანონპროქტის განხილვის პროცესში. | | |
| მთავარი მიზანი | | დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის დასაბუთების ვალდებულების განსაზღვრისა და კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირების დახვეწის გზით კანონპროექტის განხილვის პროცეში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა. | | |
| OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება<br><br>სამოქალაქო ჩართულობის გაუმჯობესება | | |
| შესაბამისობა OGP პრინციპებთან | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ინფორმაცია და ტექნოლოგიები |
| | ✓ | | ✓ | |
| ვალდებულების განხორციელების ეტაპები | | | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |

| | | | |
|---|---|---|---|
| რეგლამენტში შესატანი ცვლილების მომზადება და მიღება | | 06/2017 | 12/2017 |
| ინდიკატორი | • კომიტეტის სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანა ხდება სათანადო დასაბუთების არსებობისას.<br>• გაუმჯობესდა კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის რეგულირება. | | |

| 4.6 მთავრობის მიერ ღია და გამჭვირვალე მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის ზედამხედველობა/მონიტორინგი | | | | |
|---|---|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* | | |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | *ინიციატორი: საქართველოს პარლამენტი* | | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | | | |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | *საქართველოს პარლამენტი არ ახორციელებს ღია და გამჭვირვალე მმართველობა საქართველოს პარტნიორობის ფარგლებში მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის მონიტორინგს.* | | |
| *მთავარი მიზანი* | | *პარლამენტის ზედამხედველობის ფუნქციის გაძლიერება და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს შორის OGP-ს ფარგლებში გაწეული საქმიანობის კოორდინაციის გაუმჯობესება.* | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | ანგარიშვალდებულება | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | | | P | P | P |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* |
| ზედამხედველობის მეთოდოლოგიის შემუშავება | | | 06/2017 | 01/2018 |
| პარლამენტის რეგლამენტში შესაბამისი ცლილებების შეტანა | | | 06/2017 | 12/2017 |

| | | | |
|---|---|---|---|
| მთავრობის მიერ OGP-ს ფარგლებში გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენა | | 2018 წლის პირველი კვარტალი | |
| ინდიკატორი | • *პარლამენტის რეგლამენტში ასახულია ღია და გამჭვირვალე მმართველობის საპარლამენტო საბჭოს ზედამხედველობის ფუნქცია;*<br>• *შემუშავდა ზედამხედველობის მეთოდოლოგია;*<br>• *ჩატარდა მინიმუმ ერთი მოსმენა.* | | |

## 5. ტექნოლოგიები და ინოვაცია

| 5.1. კენჭისყრის შედეგების მონაცემთა ბაზის სრულყოფა | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | *ინიციატორი: ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI)*<br>*ინიციატორი: ჯამპსტარტ ჯორჯია* |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | ამჟამად საქართველოს პარლამენტის კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება ხდება ორი რეჟიმის საშუალებით. ერთი არის უშუალოდ პარლამენტის ვებ-გვერდზე, განყოფილებაში „მოძებნე კანონმდებლობა“ თითოეული კანონპროექტის ქვეშ მიბმული ფაილი, რომელიც სამწუხაროდ PDF ფორმატშია. ამას გარდა, სისტემა არ იძლევა სხვადასხვა კრიტერიუმებით კენჭისყრის შედეგების მოძებნის საშუალებას. სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მომხმარებელს უწევს ინდივიდუალურად თითო კანონპროექტზე სამივე მოსმენის ფაილის ცალ-ცალკე ჩამოტვირთვა.<br><br>არსებობს კენჭისყრის შედეგების მონაცემთა პორტალი - votes.parliament.ge, რომელსაც ასევე პარლამენტი უწევს ადმინისტრირებას. სისტემა იძლევა მონაცემების სხვადასხვა კრიტერიუმით მოძებნის საშუალებას, მაგალითად - კანონპროექტის სახელის, დეპუტატის სახელის, თარიღის მიხედვით. ამას გარდა, გააჩნია ე.წ. API (Application Programming Interface), რომელიც დაინტერესებულ მომხმარებელს საშუალებას აძლევს, მონაცემები უფრო დეტალურად დაამუშავოს. თუმცა, პორტალი საჭიროებს დამატებით დახვეწას:<br>- *პარლამენტის წევრების სახელი და გვარი მითითებულია პარტიული კუთვნილების გარეშე, უცნობია ცვლილების ინიციატორი, ასევე კანონები არაა თემატურად დაჯგუფებული.*<br>- *ასევე კენჭისყრის სისტემაში კანონპროექტებს არ გააჩნია უნიკალური კოდი, რომელიც ვებგვერდზე ინფორმაციის დროულად განთავსებას აფერხებს.*<br>- *ქვეყნდება მხოლოდ მიღებული კანონპროექტების კენჭისყრის მონაცემები. საჭიროა დაემატოს მონაცემები „ჩავარდნილი“ კანონპროექტების შესახებ; ასევე პრეზიდენტის მიერ შენიშვნებით დაბრუნებული.* | | | |
| *მთავარი მიზანი* | *კენჭისყრის პორტალის დახვეწა. ფუნქციების დამატება ხელს შეუწყობს პარლამენტის წევრების საქმიანობასა და მათი გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.* | | | |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | გამჭვირვალობა | | | |
| *შესაბამისობა OGP პრინციპებთან* | *ინფორმაციის ხელმისაწვდომობა* | *ანგარიშვალდებულება* | *მოქალაქეთა ჩართულობა* | *ტექნოლოგიები და ინოვაცია* |
| | ✓ | ✓ | | ✓ |
| *ვალდებულების განხორციელების ეტაპები* | | *დაწყების თარიღი* | *დასრულების თარიღი* | |
| ვებ პორტალის გაუმჯობესება | | 09/2017 | 09/2018 | |

| | |
|---|---|
| *ინდიკატორი* | • ვებ პორტალი ჩაშვებულია. ვებ პორტალზე კენჭისყრის შედეგები დროულად იტვირთება (მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში). |

## 5.2 საჯარო ინფორმაციის მოდულის შექმნა და პარლამენტის საქმიანობასთან დაკავშირებით ინფორმაციაზე წვდომის გამარტივება (მათ შორის დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება)

| | | |
|---|---|---|
| *წამყვანი დაწესებულება* | | *საქართველოს პარლამენტი* |
| *პარტნიორები* | *საჯარო დაწესებულება* | |
| | *სამოქალაქო/კერძო სექტორი* | ***ინიციატორი:*** *ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)* |
| *არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა* | | „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2013 წლის 31 დეკემბრის N132/3 ბრძანებით დამტკიცებულია იმ ინფორმაციის ნუსხა რომელიც უნდა გამოქვეყნდეს პარლამენტის ვებ-გვერდზე. ამასთან, ბრძანება არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებას, ხოლო გამოქვეყნებული ინფორმაცია არ არის სტრუქტურირებული, რაც ართულებს მის მოძიებას და შემდგომ გამოყენებას. ბრძანებით ასევე არ არის დადგენილი საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის თანამედროვე სტანდარტები.<br><br>ამავე დროს, საქართველოს ღია პარლამენტის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის 3.1 ვალდებულების (პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება) თანახმად აუცილებელია პარლამენტის ვებგვერდზე დოკუმენტაციის როგორც ღია, ასევე ადვილად დასამუშავებელ ფორმატში (მაგალითად, HTML / MS Word) განთავსება და პარლამენტის ვებგვერდზე PDF ფორმატში გამოქვეყნებული დოკუმენტაციის მინიმუმამდე დაყვანა. |
| *მთავარი მიზანი* | | პარლამენტის ვებგვერდზე შესაბამისი მოდულის შექმნა სადაც ხელმისაწვდომ ფორმატში (მათ შორის ღია მონაცემთა ფორმატში) განთავსდება პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია;<br><br>პარლამენტის ვებგვერდზე საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის მოდულის დანერგვა. |
| *OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება* | | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება |

| შესაბამისობა OGP პრინციპებთან | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგია და ინოვაციები |
|---|---|---|---|---|
| | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |

| ვალდებულების განხორციელების ეტაპები | | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი |
|---|---|---|---|
| პარლამენტის ვებ-გვერდზე პროაქტიულად ქვეყნდება დოკუმენტები და მონაცემთა ბაზები, მათ შორის ღია ფორმატში (Open Data) | | *05/2017* | *06/2017* |
| ნებისმიერ პირს შეუძლია ელექტრონულად მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია პარლამენტის ვებ-გვერდის მეშვეობით | | *05/2017* | *06/2017* |
| | | | |
| | | | |
| *ინდიკატორი* | • პარლამენტის ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის მოდული, სადაც პროაქტიულად ქვეყნდება დოკუმენტები და მონაცემთა ბაზები, მათ შორის ღია ფორმატში (Open Data)<br>• პარლამენტის ვებ-გვერდზე შექმნილია საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის მოდული | | |

## 5.3 პარლამენტის ვებგვერდის რესტრუქტურიზაცია

| | | |
|---|---|---|
| **წამყვანი დაწესებულება** | | საქართველოს პარლამენტი |
| **პარტნიორები** | საჯარო დაწესებულება | ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის აპარატი |
| | სამოქალაქო/კერძო სექტორი | USAID Good Governance Initiative (GGI) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| არსებული მდგომარეობა და პრობლემის აღწერა | თანამედროვეობის გამოწვევების და მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის ვებგვერდი ერთ-ერთი საკვანძო ინსტრუმენტია „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული მოქალაქეთა ჩართულობის, ინფორმაციაზე ხელმოსაწვდომობის, ტექნოლოგიისა და ინოვაციების განვითარებისა და პარლამენტის ანგარიშვალდებულების გაზრდის უზრუნველსაყოფად.<br><br>2016 წლის იანვარ-აპრილში, საქართველოს პარლამენტის ინიციატივით და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის - „დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში“ მხარდაჭერით, განხორციელდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს პარლამენტის ვებგვერდის მიმართ არსებული და პოტენციური მომხმარებლების დამოკიდებულებების (აღქმები, შეფასებები, საჭიროებები და მოლოდინები) შესწავლას. კვლევამ გამოავლინა ვებგვერდის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მახასიათებლები, ასევე, მომხმარებელთა ძირითადი მოლოდინები და საჭიროებები კომუნიკაციის სხვადასხვა არხისა და პლატფორმის, მათ შორის ვებგვერდის საშუალებით ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან, საკანონმდებლო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობასთან და საზოგადოებრივი განათლებისა და ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებით. კვლევისთვის შერჩეულ მიზნობრივ ჯგუფებში ასევე გამოიკვეთა ის ძირითადი მახასიათებლები, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სასურველი ვებგვერდი ინფორმაციის ღიაობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებზე დაყრდნობით. კვლევის მონაცემების საფუძველზე შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები და განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები, რაც შესაძლებელია, რომ საფუძვლად დაედოს ვებგვერდის რესტრუქტურიზაციას. | | | |
| მთავარი მიზანი | ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით აქტიური სამოქალაქო ჩართულობისა და საზოგადოებასთან ღია, გამჭვირვალე და ორმხრივი კომუნიკაციის წახალისება. | | | |
| OGP გამოწვევა, რომელსაც პასუხობს ვალდებულება | საჯარო მომსახურების გაუმჯობესება | | | |
| შესაბამისობა OGP პრინციპებთან | ინფორმაციის ხელმისაწვდომობა | ანგარიშვალდებულება | მოქალაქეთა ჩართულობა | ტექნოლოგიები და ინოვაცია |
| | ✓ | ✓ | ✓ | ✓ |
| ვალდებულების განხორციელების ეტაპები | ახალი ან არსებული ვალდებულება | დაწყების თარიღი | დასრულების თარიღი | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ვებგვერდის განახლებული სტრუქტურის შემუშავება | ახალი ვალდებულება | 06/2017 | 12/2017 |
| ვებგვერდის „ინტერფეისის“ დამუშავება | ახალი ვალდებულება | 01/2018 | 05/2018 |
| ახალი ვებგვერდის მაკეტის შექმნა | ახალი ვალდებულება | 06/2018 | 11/2018 |
| ვებგვერდის მართვის ერთიანი სისტემის შემუშავება | ახალი ვალდებულება | 11/2018 | 12/2018 |
| **ინდიკატორი** | 1. შემუშავებულია ვებგვერდის განახლებული სტრუქტურა<br>2. დამუშავებულია ვებგვერდის „ინტერფეისი“<br>3. შემუშავებულია ვებგვერდის მართვის ერთიანი სისტემა<br>4. შექმნილია ახალი ვებგვერდის მაკეტი | | |
| **რისკები და ვარაუდები** | შეზღუდული საბიუჯეტო სახსრები | | |